

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2023 წლის 22 დეკემბერი

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა“ (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“ (დანართი №2).

მუხლი 3

დამტკიცდეს „სამედიცინო დახმარების პროგრამა“ (დანართი №3).

მუხლი 4

დამტკიცდეს „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების“ პროგრამა (დანართი №4).

მუხლი 5

დამტკიცდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №5).

მუხლი 6

დამტკიცდეს „მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“ (დანართი №6).

მუხლი 7

დამტკიცდეს „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №7).

მუხლი 8

დამტკიცდეს „დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა“ (დანართი №8).

მუხლი 9

დამტკიცდეს „ვეტერანთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №9).

მუხლი 10

დამტკიცდეს „მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №10).

მუხლი 11

დამტკიცდეს „სტუდენტთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №11).

მუხლი 12

დამტკიცდეს „ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №12).

მუხლი 13

დამტკიცდეს „ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა“ (დანართი №13).

მუხლი 14

დამტკიცდეს „სარიტუალო დახმარების პროგრამა“ (დანართი №14).

მუხლი 15

დამტკიცდეს „მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა“ (დანართი №15).

მუხლი 16

დამტკიცდეს „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარების პროგრამა“ (დანართი №16).

მუხლი 17

დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/12/2022 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016472).

მუხლი 18

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა ვანისაზღვროს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.



ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ახალშობილთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სტიმულირება.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ შვილზე 300 (სამასი) ლარი, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარი, მესამე შვილზე 400 (ოთხასი) ლარი, მეოთხე და ყოველ მომდევნო შვილზე 500 (ხუთასი) ლარი;

ბ) ტყუპების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე 500 (ხუთასი) ლარი;

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

ა) სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში;

ბ) სავალდებულოა ახალშობილი დაბადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღიდან განცხადების შემოტანამდე ან განცხადების შემოტანამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება მიეცემა ახალშობილის დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან ახალშობილის ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) დახმარება გაიცემა ახალშობილის ოჯახზე ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე;

გ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ბავშვის დაბადების მოწმობა, მშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა, ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ახალშობილის დაბადებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ.

დ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.



7. მოსალოდნელი შედეგი:

ახალშობილთა ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესების მაჩვენებელი.

დანართი №2

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს იმ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარების გაწევას, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ოჯახის არასრულწლოვანი შვილები, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტობრივად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება მიეცემა არასრულწლოვანთა დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან არასრულწლოვანთა ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები, მშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ.

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.



სამედიცინო დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა, დახმარების ოდენობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილების გაცემა, გაწეული მომსახურების ღირებულებების ანაზღაურება.

5. დახმარების მიმღებები:

ა) დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 150 000-ის ჩათვლით.

ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150 000-ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ისარგებლებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა.

6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.

7. დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან, ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;

ბ) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მოთხოვნელმა მერის წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) სამსახურს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.

8. დახმარების მოცულობის განსაზღვრა:

8.1 დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით.

8.2 პირველ კატეგორიაში შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები.

8.3 მეორე კატეგორიაში შედიან:



- ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები;
- ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები;
- გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები;
- დ) მეტყველების პრობლემების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

8.4 მესამე კატეგორიაში შედიან:

- ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70 000-ის ჩათვლით;
- ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-ის ჩათვლით;
- გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები.

8.5 მეოთხე კატეგორიაში შედიან:

- ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70 001-დან 150 000-ის ჩათვლით;
- ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები;
- გ) 65 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები;
- დ) შშმ პირები.

8.6 მეხუთე კატეგორიაში შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე.

8.7 პირველ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიის ბენეფიციარებს უფლება აქვთ ლიმიტით განსაზღვრული თანხა გამოიყენონ ძირითადი დაავადების სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტისა და ფარმაცევტული დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ- ფაქტურის საფუძველზე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 8.2 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მეორე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1200 (ათასორას) ლარს.

8.8 მეორე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს 8.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 8.3 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 800 (რვაას) ლარს.

8.9 მესამე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს



წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე.

8.10 მეოთხე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 250 (ორასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.11 მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 250 (ორასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

8.12 თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 %-ით, არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა.

9. ანგარიშსწორების წესი:

ა) სამკურნალო და საოპერაციო დაფინანსება/თანადაფინანსების დროს ვანის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად.

ბ) ანგარიშსწორება განხორციელდება უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებებზე, უნადლო ანგარიშსწორების წესით, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

10. პროგრამით არ დაფინანსდება:

ა) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

ბ) სანატორიულ-კურორტული მომსახურება;

გ) კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული ესთეტიკური ქირურგიის ხარჯები;

დ) ორსულობა, საკეისრო კვეთა და ფიზიოლოგიური მშობიარობა;

ე) ალკოჰოლიზმით, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედებით გამოწვეული და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა;

ვ) VIP მომსახურებით გამოწვეული ხარჯები;

ზ) იმ პაციენტების მკურნალობა, რომელთა სამედიცინო მომსახურების საფასური გადახდილია.

11. მოსალოდნელი შედეგი:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სიკვდილიანობის, დაავადებების შემცირება.

12. შეფასების კრიტერიუმი:

პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართა მიზნობრივი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ზრდა.

დანართი 4

ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:



ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა ფინანსური დახმარება.

4. დახმარების მიმღებები:

პროგრამით ისარგებლებენ შემდეგი ქრონიკული დაავადებების მქონე პირები:

ა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულები;

ბ) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) ცელიაკით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

დ) აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ე) I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ვ) ცერებრული დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ზ) დიპლეგიით, ჰემიპლეგიით, პარაპლეგიით, ტრიპლეგიით, ტეტრაპლეგიით, კვადრიპლეგიით, კუნთების ატროფიითა და კიდურების პარეზით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები;

თ) მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული, საპენსიო ასაკს მიუღწეველი პირები და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

5. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ყოველთვიური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

ა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებისთვის – 200 (ორასი) ლარი;

ბ) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 300 (სამასი) ლარი;

გ) ცელიაკით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 300 (სამასი) ლარი;

დ) აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 200 (ორასი) ლარი;

ე) პირველი ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის – 200 (ორასი) ლარი;

ვ) ცერებრული დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 150 (ასორმოცდაათი) ლარი;

ზ) დიპლეგიით, ჰემიპლეგიით, პარაპლეგიით, ტრიპლეგიით, ტეტრაპლეგიით, კვადრიპლეგიით, კუნთების ატროფიითა და კიდურების პარეზით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 150 (ასორმოცდაათი) ლარი;



თ) მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული, საპენსიო ასაკს მიუღწეველი და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.

7. დამატებითი ინფორმაცია:

ა) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით:

ბ) დახმარება მიეცემა ბენეფიციარს, მისი ოჯახის წევრს, მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № 100 და საბანკო რეკვიზიტი. ბენეფიციარებმა ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან დიალიზის პროცედურების ჩატარების შესახებ უნდა წარმოადგინონ ყოველთვიურად;

დ) მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100 და საბანკო რეკვიზიტი;

ე) მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატულმა, საპენსიო ასაკს მიუღწეველმა და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა (მეურვემ) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის არსებობის შესახებ და საბანკო რეკვიზიტი;

ვ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

8. მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციარების მატერიალური და მორალური თანადგომა

9. შეფასების კრიტერიუმი:

პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართა მიზნობრივი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ზრდა, ბენეფიციარების სტიმულირება.

დანართი 5

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამა ითვალისწინებს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერად ფინანსურ



დახმარებას;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ნათელი მომავალი“, ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას;

4. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

5. ფინანსური დახმარების ოდენობა:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარი;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 (ორასი) ლარი;

გ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრს „ნათელი მომავალი“ – ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარი;

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით:

ბ) დახმარება მიეცემა ბენეფიციარს, მისი ოჯახის წევრს, მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ;

დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობები, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი, ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ;

ე) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

ვ) ამ პროგრამით ვერ ისარგებლებენ ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ბენეფიციარები.

7. მოსალოდნელი შედეგი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება და უფასო სასადილოთი მომსახურება.

5. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარებით (უფასო სასადილო) ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, მზრუნველობამოკლებული პირები;

ბ) დახმარება პროგრამაში ჩართულ ყოველ ბენეფიციარზე გაიცემა დღეში ერთჯერადი კვების სახით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად;

გ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა (მოწმობები), ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია/ შუამდგომლობა და ცნობა, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი მოკვლევისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები;

დ) პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება თემის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის საფუძველზე;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება პროგრამის დამტკიცების მომენტში არსებულ ბენეფიციარებზე.

6. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ან/და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცემა საკვები პროდუქტები;

7. მოსალოდნელი შედეგი:

მზრუნველობამოკლებულთა მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმები:

დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.



1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ.

4. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები (პირები), რომლებსაც დაუზიანდათ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

5. ხანძრის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.

6. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.

7. საჭიროების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

8. ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით. დახმარების ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 13 მარტის N 20 370 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

9. მოსალოდნელი შედეგები:

ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური თანადგომა.

10. შეფასების კრიტერიუმი:

პროგრამით მოსარგებლე ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი 8

დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:



ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა დღეგრძელისთვის (100 და მეტი წლის ხანდაზმულთათვის) დაბადების დღის მისალოცად ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის დაბადების დღისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარს ან მისი ოჯახის წევრს (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს).

ბ) დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საბანკო რეკვიზიტი.

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

ხანდაზმულთა მატერიალური და მორალური თანადგომა

8. შეფასების კრიტერიუმი:

დახმარების მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი 9

ვეტერანთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულამდე) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

გ) 26 აპრილისთვის ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა;



დ) 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა შემდეგი ოდენობით:

ა) დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე 500 (ხუთასი) ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველ ვეტერანზე 300 (სამასი) ლარი;

გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარი.

დ) 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარი.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა დახმარების მიმღები პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება გაიცემა დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე, საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანზე, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებზე, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულებსა ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელზე;

ბ) დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ბ.ა) დაღუპული მეომარის ოჯახის წევრისგან, გარდაცვალების ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, რომ აღნიშნულ პიროვნებას დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია და საბანკო რეკვიზიტი;

ბ.ბ) სოციალურად დაუცველი ვეტერანისგან, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (1 – 100 000) და საბანკო რეკვიზიტი;

ბ.გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისგან, სამუშაოებში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები;

ბ.დ) 1989 წლის 9 აპრილის აქციაში დაზარალებულისგან, დაზარალებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბენეფიციარის და დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები.

ბ.ე) ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ;

ბ.ვ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციართა მატერიალური და მორალური თანადგომა, მათი ღვაწლის დაფასება.

8. შეფასების კრიტერიუმი:



მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ და პროგრამით ისარგებლებენ:

ა) მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს;

ბ) დედ-მამით ობლები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

ა) მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

ბ) დედ-მამით ობლებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა მარჩენალდაკარგული პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარის ოჯახის წევრს ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს.

ბ) დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მისი პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ;

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგები:

მარჩენალდაკარგული პირების მატერიალური და მორალური თანადგომა.



8. შეფასების კრიტერიუმი:

მარჩენალდაკარგული პირების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი 11

სტუდენტთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა ან არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

დახმარება გაიცემა როგორც კალენდარული წლის, ისე სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერ.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

შემოსული განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დამატებითი ინფორმაცია:

დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) სოციალურად დაუცველი სტუდენტის მიერ პირადობის მოწმობა, ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან, ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის სტუდენტი და საბანკო რეკვიზიტი;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის მიერ პირადობის მოწმობა, ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის სტუდენტი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზიდან სტატუსის შესახებ და საბანკო რეკვიზიტი;

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6. მოსალოდნელი შედეგები:

ბენეფიციარების მატერიალური და მორალური თანადგომა.

7. შეფასების კრიტერიუმი:

დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სტიმულირება.

დანართი 12

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.



2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი ძალადობის ფაქტის მოხდენის, მსხვერპლად აღიარებისა და განცხადების შემოტანის მომენტში რეგისტრირებული იყოს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარს ან მისი ოჯახის წევრს (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს ან კანონიერ წარმომადგენელს).

ბ) დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარის და მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო რეკვიზიტი.

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

ძალადობის მსხვერპლთა მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სტიმულირება.

დანართი 13

ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია (შემდგომში – კომისია) და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომში – სამსახური).



3. პროგრამის მიზანი:

ბენეფიციართა ბინის ქირით უზრუნველყოფა

4. დახმარების მიმღებები: პროგრამით ისარგებლებენ:

ა) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირები/ოჯახები;

ბ) ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირები;

გ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირები.

5. ბინის ქირის ოდენობა:

ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი თვეში;

ბ) შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულებში – არაუმეტეს 150 (ასორმოდრამი) ლარი თვეში;

გ) სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში – არაუმეტეს 120 (ასოცი) ლარი თვეში.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) პროგრამით მოსარგებლე, უსახლკარო პირთა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ, „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს მე-4 მუხლით დადგენილი შეფასებისა და რიგითობის პირობების გათვალისწინებით;

ბ) ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები პროგრამით ისარგებლებენ ურიგოდ;

გ) საცხოვრებელი ფართის/ბინის მოძიების ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს, რომელიც მესაკუთრესთან/მოსარგებლესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას წარუდგენს სამსახურს;

დ) კომისიის გადაწყვეტილების და სამსახურის მიერ მოძიებული დამატებითი მასალების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო პირების აღნიშნულ პროგრამაში არაუმეტეს ორი წლის ვადით, ხოლო ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების არაუმეტეს ექვსი თვის ვადით ჩასმისა და ქირის განსაზღვრული ოდენობის თაობაზე;

ე) საცხოვრებელ ფართში/ბინაში კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს;

ვ) ფორსმაჟორის შემთხვევაში, დაზარალებული ოჯახის (მოქალაქის) სასტუმროში განთავსების და დაბინავების ხარჯები ანაზღაურდება ამ პროგრამის ფარგლებში, გონივრულ ვადაში ალტერნატიული ფართის მოძიებამდე.

7. მოსალოდნელი შედეგები:

ბენეფიციართა მატერიალური თანადგომა;

8. შეფასების კრიტერიუმი:



სარიტუალო დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ა) სოციალურად დაუცველ გარდაცვლილთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა;

ბ) ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე გარდაცვლილთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა;

გ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ და „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით დელეგირებული ვალდებულებების ფარგლებში, გარდაცვლილი ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.

დ) გარდაცვლილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.

ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღები პირისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-დან 120000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) გარდაცვლილი ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ) გარდაცვლილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების დაკრძალვის ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

გარდაცვლილი, გარდაცვალებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.



6. დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), გარდაცვლილის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

ბ) ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), დამადასტურებელი მოწმობა, რომ გარდაცვლილი იყო ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე.

გ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა (ასლი), დასაფლავების ხარჯის გაწევის დამადასტურებელი ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი, გარდაცვლილის პირადობის მოწმობა (ასლი), ვეტერანობის მოწმობა (ასლი) ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა (ასლი). იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან (ოჯახის სარეიტინგო ქულა).

დ) უჭირისუფლო პირის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ცნობა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ ან აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი სხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა (ასლი), საბანკო რეკვიზიტი.

ე) საჭიროების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

გარდაცვლილთა ოჯახების დახმარება.

8. შეფასების კრიტერიუმი:

გარდაცვლილთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი №15

მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე იმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რომელთაც სტატუსი განესაზღვრათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11911 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.“

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

ა) მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და



ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ ბავშვზე, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით;

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა მარტოხელა მშობელი და ის ბავშვები, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტობრივად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ბენეფიციარის პირადობის მოწმობა, იმ ბავშვების, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დაბადების ან პირადობის მოწმობები, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა, ოჯახის ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ.

ბ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

მარტოხელა მშობლების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

მარტოხელა მშობლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.

დანართი №16

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური და სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია.

3. პროგრამის მიზანი:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარება.

4. პროგრამის ბენეფიციარები:

პროგრამით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, შემდეგი სრულწლოვანი მოქალაქეები:

1. ა) სოციალურად დაუცველი პირები;

2. ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

3. გ) ადიქციის მქონე პირები;

დ) ხანდაზმული პირები;



- ე) მარტოხელა მშობლები;
- ვ) იძულებით გადაადგილებული პირები;
- ზ) უსახლკარო პირები;
- თ) წარსულში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები;
- ი) ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები;
- კ) მხარდაჭერის მიმღებები;
- ლ) ძალადობის მსხვერპლები;
- მ) სხვა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირები.

5. დახმარების გაცემის წესი:

- ა) თემის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის საფუძველზე, დახმარების საჭიროებასა და დახმარების ოდენობას განსაზღვრავს მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია;
- ბ) დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი (საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა) სახით;
- გ) დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ერთჯერადად, ისე ნაწილ-ნაწილ, გარკვეული პერიოდულად.

6. დახმარების ოდენობა:

წლის განმავლობაში დახმარების ოდენობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე განისაზღვრება ოჯახის სრულწლოვან წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:

- ა) ერთსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარი;
- ბ) ორსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარი;
- გ) სამსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარი;
- დ) ოთხ და მეტ სულიან ოჯახზე - არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარი.

7. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა პროგრამის ბენეფიციარი რეგისტრირებულ იყოს და დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

8. დამატებითი ინფორმაცია:

- ა) დახმარება მიეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს;
- ბ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა პირის/ოჯახის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ.
- გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.



9. მოსალოდნელი შედეგი:

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების მდგომარეობის გაუმჯობესება.

10. შეფასების კრიტერიუმი:

სოციალური საფრთხის პრევენციის მაჩვენებელი.

